ენიდ ბლაიტონი

საიდუმლო შვიდეული

წინ, საიდუმლო შვიდეულო!

ინგლისურიდან თარგმნა
მაია წითაძემ

სულაკაურის
გამომცემლობა

ენიდ ბლაიტონი

საიდუმლო შვიდეული

წინ, საიდუმლო შვიდეულო!

მთარგმნელი **მაია წითაძე**
რედაქტორი **ხათუნა ნონიაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2021
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-707-2

Enid Blyton
THE SECRET SEVEN
Go Ahead, Secret Seven

Text and illustrations © Hodder & Stoughton Limited.
Illustrations by Tony Ross.
First published in Great Britain in 1953 by Hodder & Stoughton Ltd.
All rights reserved.

Georgian translation copyright by Sulakauri Publishing, 2021

www.sulakauri.ge

შინაარსი

თავი პირველი სუზი გამაღიზიანებლად იქცევა 5

თავი მეორე საიდუმლო შვიდეულის შეკრება 10

თავი მესამე ახალი პაროლი და ახალი იდეები 15

თავი მეოთხე რა კარგია, როცა საიდუმლო ორგანიზაციის
წევრი ხარ! 20

თავი მეხუთე ადევნება 25

თავი მეექვსე საბრალო ჯოჯო თავზარდაცემულია 30

თავი მეშვიდე ჯოჯო გადადგა და მისი ადგილი ახალმა
წევრმა დაიკავა 35

თავი მერვე რა მოახსენეს პიტერს 40

თავი მეცხრე კოლინი უცნაურ ამბავს ჰყვება 46

თავი მეათე ახალგაზრდა კაცი სასტუმრო „სტარლინგსიდან" 51

თავი მეთერთმეტე სანახშირე ორმო 62

თავი მეთორმეტე მოულოდნელი შეხვედრა 67

თავი მეცამეტე შვიდეულმა საქმე გაინაწილა 78

თავი მეთოთხმეტე სანახშირე ორმოში 83

თავი მეთხუთმეტე ჰა მოხდა საჰდაფში? 88

თავი მეთექვსმეტე უსიამოვნო სიუჰპჰიზი..... 93

თავი მეჩვიდმეტე ძველი, საიმედო მეგობარი ჯოჰჯი..... 99

თავი მეთვჰამეტე თავსაგეხი ამოიხსნა..... 104

თავი პირველი

სუზი გამაღიზიანებლად იქცევა

პიტერი სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. ჩანთას არხეინად მიაკონწიალებდა. უცებ ვიღაც უკნიდან სირბილით წამოეწია და დაეტაკა. ბიჭს ჩანთა ხელიდან გაუვარდა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო. გაბრაზებულმა უკან მიიხედა – ჯორჯი ან კოლინი ეგონა, მაგრამ სუზი შერჩა ხელთ. ბორდიურზე სახეგაბადრული იდგა და უღიმოდა.

– მაპატიე, – მოუბოდიშა გოგომ, – მოვრბოდი და თავი ვერ შევიკავე. საიდუმლო შვიდეულის საქმეები როგორ მიდის?

– თვალში კარგად უნდა გამოიხედო, სუზი! – გაუწყრა პიტერი და ჩანთა აიღო, – რაც შეეხება საიდუმლო შვიდეულს, შენი საქმე არ არის. შენ ხომ სულ იმას ცდილობ, ხელი შეგვიშალო?!

– ჯეკი ამბობდა, საუკუნეა, არ შევკრებილვართო, – ვითომ არც გაეგონოს, ისე გააგრძელა სუზიმ და პიტერს გვერდით ამოუდგა.

პიტერი გააღიზიანა ამ აბეზარი გოგოს საქციელმა.

ჯეკი სუზის ძმა იყო, საიდუმლო შვიდეულის ერთ-ერთი წევრი. პიტერი დარწმუნებული იყო, რომ ის დასთან საიდუმლო ორგანიზაციის საქმეების შესახებ არ ლაპარაკობდა, მაგრამ სუზი მართალს ამბობდა – დიდი ხანი გავიდა, რაც არ შეკრებილიყვნენ. აღდგომის ტრიმესტრმა ხალისიანად ჩაიარა და პიტერს თავისი საიდუმლო ორგანიზაცია არც კი გახსენებია.

– ნუ დარდობ, მალე შევიკრიბებით, – ნიშნის მოგებით უპასუხა სუზის, – მაგრამ შენ არ გაბედო მოსვლა! თუ შეეცდები და რამეს იმაიმუნებ, მწარედ ინანებ! ჩვენი ორგანიზაციის წევრი არ ხარ და არც არასოდეს იქნები!

– თქვენი ბოლო პაროლი უკვე ვიცი, – თავისი არ დაიშალა სუზიმ და ასკინკილით გაუყვა ტროტუარს.

– არაფერიც არ იცი! – შეუღრინა პიტერმა და თავს ძალა დაატანა, პაროლი რომ გაეხსენებინა, მაგრამ ამაოდ.

– ვიცი, „ჯეკ სპრეტია“, – წამოიძახა გოგომ.

პიტერმა ბრაზით გახედა. გაახსენდა, საიდუმლო შვიდეულის ბოლო პაროლი მართლაც „ჯეკ სპრეტი“ იყო. ეს სულელი გოგო კი საიდუმლო კოდურ სიტყვას მთელი ხმით ყვიროდა ქუჩაში.

სუზიმ ბიჭის გაცეცხლება შენიშნა და გულიანად გაიცინა.

– მართალი ვარ, ხომ? ბრიყვების ორგანიზაცია გაქვთ. თქვენი პაროლი მარტო მე კი არა, ჩემმა ყველა კლასელმაც იცის. ასე რომ, როცა კრებას დანიშნავთ, ყველანი გეწვე-

ვით და ხმამაღლა ვიტყვით პაროლს. თქვენ კი იძულებული იქნებით, შემოგვიშვათ.

– საიდან გაიგე პაროლი? – აღშფოთდა პიტერი, – დარწმუნებული ვარ, ჯეკი არ გეტყოდა.

– ოჰ, ჯეკი არა. ეგ ისეთი კერკეტი კაკალია, ვერასოდეს დააცდენინებ რამეს. მაგრამ ერთხელ მისი უჯრა გამოვაღე, ცხვირსახოცის აღება მინდოდა და საგულდაგულოდ დამალულ ფურცელს წავაწყდი. მასზე იყო მიჯღაბნილი: „პაროლი – ჯეკ სპრეტი“, – აღიარა სუზიმ.

– შენნაირი საძაგელი გოგო ჯერ არ შემხვედრია, სუზი! – მიახალა პიტერმა, – მუდამ ყველაფერში ცხვირს ყოფ და თავს არ გვანებებ. ცდილობ, ჩვენთან შემოძვრე და გაიგო, რას ვაკეთებთ!

– აბა, რატომ არ გამაწევრიანეთ თქვენს ორგანიზაციაში? – ნიშნის მოგებით მიუგო სუზიმ, – ჯანეტი, პემი და ბარბარა თუ არიან, მე რით ვარ მათზე ნაკლები?!

– ბოლოს და ბოლოს, გაიგე, სულელო, რომ ეს საიდუმლო შვიდეულია და მეტი წევრის აყვანის უფლება არ გვაქვს! – მკაცრად აუხსნა პიტერმა, – ესეც არ იყოს, შენნაირი აბეზარა არაფერში გვჭირდება!

– რა ბოროტი ხარ! – ვალში არ დარჩა სუზი, – და მაინც, თუ გინდა, ჯეკს გადავცემ, რომ მალე შეკრებას მართავთ. რა ვუთხრა, ზუსტად როდის არის?

– საჭირო არ არის, ნურაფერს ეტყვი! – საშინლად გაა-ბრაზა პიტერი ჯეკის აბეზარმა დამ, – კრებაზე დასასწრებად მოსაწვევებს ვგზავნი ხოლმე! ნურც პაროლის დამახ-

სოვრებით შეიწუხებ თავს, აუცილებლად გამოვცვლი და ყველა წევრს შევატყობინებ.

– სულერთია, ჯეკი მაინც სადმე ჩაიწერს, რომ არ დაავიწყდეს, მე კი ისევ ვნახავ, – კვლავ გამოაჯავრა სუზიმ, – ახლა დაგემშვიდობები, ჯეკ სპრეტს კი მოკითხვა გადაეცი ჩემგან.

პიტერმა სიძულვილით სავსე მზერა გააყოლა. „რა საშინელი გოგოა! კიდევ კარგი, რომ ჩემი და არაა!“ – გაივლო გულში და შეწუხებული სახით განაგრძო გზა.

მართლაც დროულად უნდა გაემართა კრება. ბოლო შეკრებიდან დიდი ხანი გასულიყო. ასე გაგრძელება კი ორგანიზაციას საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს.

„მაგრამ საინტერესო და იდუმალებით მოცული არაფერი ხდება და რაზე უნდა ვიმსჯელოთ კრებაზე?! – ფიქრობდა პიტერი, – აუცილებლად რაღაც უნდა მოვიფიქროთ, სანამ რამე მნიშვნელოვანი გამოჩნდება. პაროლიც უნდა გამოვცვალო. ეს ჯეკიც რა ბრიყვი ვინმეა, როგორ დაწერა პაროლი ფურცელზე და დატოვა?! ნუთუ ვერ მიხვდა, რომ სუზი იპოვიდა?!“

ასე ჩაფიქრებული შევიდა ეზოში. მისი და, ჯანეტი, უკვე შინ იყო. ოქროსფერი სპანიელი, სახელად ელვა, მხიარული ყეფით შეეგება.

– გამარჯობა, ელვა, – მიესალმა ძაღლს და პანტურა ყურებზე მიეფერა, – დღეს ხომ კარგად მოიქეცი? საჭმელი ბოლომდე შეჭამე? კურდღლების კვალს მიაგენი? მეეზოვესაც დაუყეფე, ხომ? მაშინ მართლა მაგარი ძაღლი ყოფილხარ!

– ჰაამ! – სიყვარულით შეუყეფა ელვამ და გიჟივით გავარდა შინისკენ.

ჯანეტს გაეცინა:

– იცი, სანამ შემოხვიდოდი, კარგა ხნით ადრე იგრძნო, რომ მოდიოდი. ჭიშკართან დაჯდა და სულგანაბული გელოდა. მგონი, ჩვენს ქუჩაზე რომ შემოუხვიე, მაშინ იგრძნო.

– ჯანეტ, – მიმართა დას პიტერმა და ჩანთა დადო, – საიდუმლო შვიდეულის შეკრება უნდა დავნიშნოთ და რაც შეიძლება მალე!

– რა კარგია, – გაიხარა გოგომ, – კი მაგრამ, რატომ? რამე მოხდა?

პიტერმა თავი გააქნია, რითაც ჯანეტს იმედი გაუცრუა:

– არაფერი ისეთი, თუმცა ჯეკის აბეზარ დას შევხვდი, სუზის. ჩვენი პაროლი გაუგია. თანაც დამცინა, რომ დიდი ხანია, არაფერი გაგვიკეთებია. ჰოდა, ჩვენც შევიკრიბოთ, ახალი პაროლი მოვიგონოთ. ამოიღე შენი მოსაწვევი ბარათები და როგორც კი შევძლებთ, კრება დავნიშნოთ.

თავი მეოხე

საიდუმლო შვიდეულის შეკხება

საიდუმლო შვიდეულის შეკრება მეორე დღესვე, სკოლის შემდეგ დაინიშნა. პიტერმა და ჯანეტმა დედას სთხოვეს, შვიდეულის წევრებს კრებამდე ტკბილეულით გამასპინ-ძლებოდა.

– ჭურჭელს მე დავრეცხავ, ოღონდ მერე, როცა კრე-ბა დასრულდება, – დაჰპირდა ჯანეტი დედას, – ვაშაა! საიდუმლო შვიდეული კვლავ იკრიბება! რა მაგარია, ისევ მოვიყრით თავს ყველანი!

მოსაწვევი ბარათები დააგზავნეს. ბავშვები სიხარულის თრთოლამ შეიპყრო. ჯეკი კომოდის უჯრას ეცა, სადაც ფურცელზე დაწერილი პაროლი ეგულებოდა. კი იპოვა, მაგრამ რაც ზედ ეწერა, იმან ძლიერ გააოცა:

„პაროლი: ჯეკ სპრეტი – არა, ჯეკ ჰორნერი – არა, ჯეკ ურჩხულთმმუსვრელი – არა, ჯეკი და ჯილი – კი!“

ჯეკი შუბლშეჭმუხნილი დასჩერებოდა ფურცელს. რამ დააწერინა ეს სისულელე?! ალბათ, მაშინ სრულ ჭკუაზე